

"შუქი გამორთეთ, ნაგავს წერს"

ხელისუფლების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა უმრავლესობა, თავისი შინაარსით, რუტინულია და პირდაპირ იშვიათად აისახება ქვეყნის თითოეული მოქალაქის ყოველდღიურ საქმიანობაზე. თუმცა როცა ესა თუ ის გადაწყვეტილება მყისიერად არღვევს გაბატონებულ ურთიერთობის ფორმებს, მოსახლეობა მტკიცნეულად რეაგირებს მათზე.

ერთერთი ასეთი გადაწყვეტილებათაგანი იყო ხელისუფლების მიერ ელექტროენერგიისა და დასუფთავების გადასახადის გაერთიანება 2010 წელს. ამ დადგენილებით, დასუფთავების მოსაკრებლის ოდენობა პირდაპირაა დაკავშირებული მოხმარებული ელექტროენერგიის ოდენობასთან. ამასთან, თუ მოქალაქე ნაგვის გატანის საფასურს არ გადაიხდის, მას ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყდება, თუნდაც ამ მომსახურების საფასური გადახდილი ჰქონდეს.

პოლიტიკურ და ექსპერტულ წრებში ამ მოვლენამ ბევრი კითხვა გააჩინა: თუ ელექტროენერგიის დისტრიბუტორი დამოუკიდებელი კერძო კომპანიაა, ხოლო ნაგვის გატანას თბილისის მერია კურირებს, როგორ მოხდა შეთანხმება მათ შორის? რატომ დათანხმდა კერძო კომპანია თავზე აედო დამატებითი ვალდებულებები? როგორ მოახერხებს ხელისუფლება მოახდინოს ამ გადაწყვეტილების ადმინისტრირება კერძო სტრუქტურის საქმიანობის პირობებში? და საერთოდ, არის თუ არა კერძო კომპანია მართლაც კერძო და არ წარმოადგენს სახელმწიფოსთან მჭიდროდ დაკავშირებულ სტრუქტურას?

რიგითი მოქალაქეების რეაქცია უფრო გამოკვეთილი და ნებატიური იყო: თუ მე დიდი დონით მოვიხმარ ელექტროენერგიას, მაგრამ საერთოდ არ ვწინ ნაგვის მასას, რატომ უნდა გადავიხადო იგივე თანხა, რასაც იხდის სხვა, ვინც დიდი რაოდენოვანით საყოფაცხოვრებო ნარჩენებს წარმოქმნის, მაგრამ ელექტროენერგიის მცირე ოდენობით მოიხმარს?

როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე ასეთ შემთხვევაში, გაჩნდა ხუმრობაც - "შუქი გამორთეთ, მრიცხველი ნაგავს წერს".

ამ გადაწყვეტილების ფილოსოფია უფრო გასაგები გახდება, თუ ხელისუფლების ლოგიკით ვიმსჯელებთ. თუ დასუფთავების მოსაკრებელი მოსახლეობის ოდენობით გაიანგარიშება, მაშინ უნდა ვალიაროთ, რომ ქვეყანაში მართლა 4.5 მილიონი კი არა, მხოლოდ 3 მილიონი კაცი ცხოვრობს. ეს არჩევნების პერიოდში დამატებით სირთულეებს შექმნის, ხელისუფლებას აღარ ეყოლება დაახ. 1 მლნ. "ვირტუალური" ამომრჩეველი, რომელთა ბიულეტენებისც მმართველი პარტიის სასარგებლოდ იქნება გამოყენებული. მეორეს მხრივ, თუ მოსახლეობის ოდენობა ხელოვნურად გაიზრდება, შესაბამისად გაიზრდება არარსებულ პენსიონერთა ("მკვდარი სულების") რიცხვი და, აქედან გამომდინარე, საბიუჯეტო ხარჯებიც.

სახელმწიფო ოფიციალურ სტატისტიკას რომ თავად ხელისუფლებაც არ ენდობა, ეს უკვე თითქმის არავისათვის არ წარმოადგენს საიდუმლოს. ამიტომ მარტივი გამოსავალი იქნება ნაპოვნი - დასუფთავების მოსაკრებელი ბინებზე, და არა ამ ბინებში მცხოვრებ ადამიანებზე, იქნა "მიბმული". ელექტრომრიცხველების გამართული ქსელის არსებობის პირობებში მარტივი დასათველელია, რომელმა შენობამ რა ენერგია მოიხმარა. რადგან შუქი ჩართულია, მაშასადამე სახლში არის ვიდაც, ვინც ამ შუქს იყენებს და, შესაბამისად, ნაგავსაც წარმოქმნის.

ასევა თუ ისე, საკითხი აქტუალური გახდა და დიდი რეზონანსიც გამოიწვია საზოგადოებაში. თუმცა ასეთი ტიპის გადაწყვეტილება საქართველოში პირველი არ არის.

მაგალითისათვის გამოდგება 2009 წლის 27 მარტს "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში შესული ცვლილება, რომლის თანახმადაც თვითმმართველი ერთეულის ნებაყოფლობით უფლებამოსილებებს დაემატა კიდევ ერთი "უფლება" - "ნებაყოფლობით" გადაწყვიტოს სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისათვის მატერიალურ-ტექნიკური დახმარების საკითხი. საყურადღებოა, რომ 2009 წლის მარტში მიღებილი კანონი ამოქმედებულად ჩაითვალა 2006 წლის 1 იანვრიდან, რითაც მას მიენიჭა უკუქცევითი ძალა და გაამართლა 2006-2008 წლებში ცენტრალური ხელისუფლებისათვის მუნიციპალიტეტთა მიერ გაწეული, ქართული კანონმდებლობის მიერ აკრძალული, მატერიალურ-ტექნიკური "დახმარებები".

მასსოვს ამსათან დაკავშირებით სტრასბურგში, ევროპის საბჭოში ერთერთი შესვედრისას ჩვენი ევროპელი კოლეგები როგორ ხუმრობდნენ "ქართულ იურიდიულ იუმორზე".

ხუმრობა ხუმრობად დარჩეს და რეალობაში ცენტრალური ხელისუფლების ამ გადაწყვეტილებამ საკმაოდ მმიმე ფორმა მიიღო. კიდევ უფრო გაძლიერდა ადგილობრივი და ცენტრალური

ზელისუფლებათა დონებს შორის უფლებამოსილებათა აღევის პროცესი. ადგილობრივი თვითმმართველობა "წებაყოფლობით" ახდენს ცენტრალური ზელისუფლების უფლებათა დაფინანსებას (პოლიციის შენობების აშენება და პოლიციისათვის მანქანების შეძენა და სხვ.) მაშინ, როცა საკუთარი ექსლუზიური უფლებამოსილებებისათვის (მაგალითად, საბავშვო ბალების ორგანიზება) ფული არ ჰყოფნით.

სამაგიეროდ ცენტრალური ზელისუფლება, საკმაოდ ზელგაშლილად, აფინანსებს ადგილობრივი მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობას (იგივე შადრევნები მუნიციპალურ ცენტრებში, ადგილობრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული პროექტები და სხვ.). მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგების პრეროგატივაც კი, რომელიც ყველა დროსა და ყველა ქვეყანაში ადგილობრივი ზელისუფლების საქმეს წარმოადგენს, საქართველოში ცენტრალური ზელისუფლების ზელშია გადასული. შედეგად სერვისი გამვირდა, ხოლო ხარისხი მიშვნელოვნად გაუარესდა.

2010 წლის მონაცემებით, ცენტრალური ზელისუფლების ცალკეული რეგიონალური პროგრამები (რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი - 240 მლნ. ლარი; მუნიციპალური განვითარების ფონდი - 202 მლნ. ლარი) უფრო ფინანსტევადი იყო, ვიდრე საქართველოს ერთადაღებული ყველა მუნიციპალიტეტის საკუთარი საგადასახადო შემოსავლების ჯამი (180 მლნ. ლარი).

"სოფლის დახმარების პროგრამაც" კი, რომელიც მოსახლეობის გამოკითხვის შედეგად ცალკეულ დასახლებულ პუნქტში ყველაზე აქტუალური პრობლემის გადაჭრას ემსახურება, სახელმწიფო პროგრამას წარმოადგენს და ცენტრალიზებულად ნაწილდება. ამის შედეგად საკმაოდ საინტერესო სურათს ვიღებთ: გაირკვა, რომ თუ ერთ მუნიციპალიტეტში შემავალი ყველა სოფლის მოსახლეობა ერთხმად თოხოვს ავტობუსის გაჩერების აშენებას და მის წითლად შეღებვას, მეორე მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში შემავალი, უკლებლივ ყველა სოფლის მცხოვრები, ასევე ერთხმად, მოითხოვს თითოეულ სოფელში ფეხბურთის სათამაშო მოედნის მოწყობას.

ასეთ პირობებში რომელიმე სკეპტიკოსს შესაძლოა გაუჩნდეს ეჭვი, რომ "ხალხის ხმის" დივერსიფიცირება მუნიციპალიტეტების მიხედვით ცენტრალური ზელისუფლების კაბინეტებში განხორციელდა.

ადგილებზე გვალიფიციური ადამიანური რესურსების დეფიციტი და გადაწყვეტილებების გადაჭარბებული პოლიტიზაციის ხარისხი (განსაკუთრებით წინასარჩევნო პერიოდებში განხორციელებული ე.წ. ამომრჩეველთა "მოსყიდვის" პროგრამები) ასრულებს რეგიონებში არსებულ იდილიურ სურათს.

კომპეტენციებისა და ფუნქციების ასეთი ურთიერთაღრევა და გადაჭარბებული ცენტრალიზაცია აძვირებს საზოგადოებრივი სერვისის ღირებულებას და ამცირებს მის ეფექტურობისა და ეფექტურობის (effectiveness and efficiency) ხარისხს. ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას რეგიონებში.

ასეთი რეალობა აშკარად წინააღმდეგობაში მოდის ზელისუფლების მიერ დეკლარირებულ ლიბერტარიანულ პოსტულატებთან. ქართველ ულტრალიბერტარიანთა ლოზუნგი - "ხალხი ძალით უნდა შეიყვანონ ბედნიერ კაპიტალისტურ მომავალში" (შდრ. ბოლშევიკური სლოგანი, რომელიც "კაპიტალიზმის" ნაცვლად "სოციალიზმის" იყენებდა) ფაქტიურად სახელმწიფო ინსტიტუტების როლის განუხრელ ზრდას ემსახურება.

ზელისუფლების მიერ ასეთი სახის ზოგჯერ გაუთვლელი და ზოგჯერ გამიზნული ქმედებები, მოსალოდნელი ეფექტის საპირისპირო შედეგს იძლევა და საქართველოში ქმნის პობსისა და ვოლტერის იდეალური "განათლებული ასოლუტიზმის" პაროდიას - "გაუნათლებელ ასოლუტიზმს".